




„...გვერს ახსოვს, თუ როგორ იცავდნენ ზოგიერთნი თავდაპირველად იმ აზრს, რომ ჩვენი ნაგავი ჩვენვე მაინც რატომ გაგვაქვს ქოხიდან, ეს ხომ საქართველოს პრესტიჟს ლახავსო!.. დღეს როდი ვამტკიცებთ, თითქოს ბრძოლა დამთავრებული იყოს!..“

**გვარკოლ დროვასთან
ელავს კალამი!
ეს ათი წელი —
ათი აზური
დამკვიდრდას, რომორც
კბური სალამი —
გზურვალე, გხნე და
ამხანაგური!**



ნ.ა. ზ. ფორტნიძის

საქრებული

4
1982

აი, რა მსგა აბაშაშია

საქართველო
ბიბლიოთეკა

რა მოხდა?

მშრომელ ვაჟაკებს აქვთ გამარჯვება მრავალი,
დიდება გარდაუვალი, დროები გარდამავალი.
ბევრი ჰყავთ სამაგალითო უღლის გამწვევი.

გამრჯელი,
კრემლშიაც ქებით ახსენეს აბაშელ კაცის მარჯვენი,
ვინც გაიტანა ხუთნლედი, ვინც გაამართლა პირობა,
ვინც შეხვდა წარმატებებით ოცდამეექვსე ყრილობას.
ახალ ხუთნლედის მიჯნაზე ვინც გამარჯვებებს
გვპირდება,
აბაშელ მეცხოველეებს ვაშა, ქება და დიდება!

ჩვენი ევტიხი თურქია ოქროს ვამგვანეთ ანონილს,
მის სადღეგრძელოდ სუფრაზე ყანებით შევსვით...
მანონი.

მეცხოველეთა ფერმებში იღვწის თავდაუზოგავად
ნორიოელი ჩაჩავა და ქოლობნელი როგავა.
რძე ჩამონველეს იმდენი, ქება ვუთხარით ზეპირი,
წყალი რომ შეწყდა ონკანში, რძით დავიბანეთ ხელ-
პირი.

კიდევ ვინ იცის რამდენი, სად იმალება, რომელი,
საძოვარსა თუ ფერმაში თავდადებული მშრომელი.

მაგრამ ვერც იმას დავმაღავთ, რაც დარდად
გადაგვფენია,
კიდევ არიან ზოგ-ზოგნი, სხედან და ასე მღერიან:

— გაგიტყდებით და გავამხელთ ჩვენს ნუხილს
უნაპიროსა,
ლამის ძროხებმა შეგვჭამონ, ლამის გადავიქცეთ
სილოსად!..

თუკი კაცი ხარ კაცური, რძე რაში გინდა, შვილოსა,
ლია რესტორანები, ღმერთი დალოცავს ღვინოსა.

„გეშვია, გეშვია,
ახალი დო ჯვეშია,
გეყურნი დო გეშადუცი
ჭითა ოჯალეშია“.

ვინაც მზისფერი მარცვლებით ახვავებს ოქროს
ხვითოსა,

აბაშელ მესიმინდეებს ქებას მივუძღვნით თითოსა.
ჩვენს ბოკუჩავა ნოესა (მართლა საქები კაცია),
ზელმარჯვე შრომამ და გარჯამ დეპუტატად რომ
აქცია.

ნელი მოგვწყვიტა სიმძიმით (განა გვენყინა,
გვეამა),
რაც ერთ ჰექტარზე მოტეხა რომანოზ ბოკერიამა.
სუყველას თუ ვერ გახსენებთ, გამტანებო და
მარგებო,
სიმინდის ყანებს გაფიცებთ, ნუ გენყინებთ,
კარგებო.

მაგრამ ვერც იმას დავმაღავთ, რაც დარდად
გადაგვფენია,
კიდევ არიან ზოგ-ზოგნი, სხედან და ასე მღერიან:

— მარგელა-მოროდში ოფლის ღვრა, რა ვქნა, არ
მიყვარს, შვილოსა,
კაი, დამსაჯეთ, ბატონო, უჭადოდ დავლევ ღვინოსაც.

„გეშვია, გეშვია,
ახალი დო ჯვეშია,
გეყურნი დო გეშადუცი
ჭითა ოჯალეშია“.

აბაშელების შრომაზე როცა დავინყებთ ლაპარაკს,
ეთერზეთების სურნელი მთელ საქართველოს
დაფარავს.

მან მოგვიტანა სახელი ჩვენი კუცია გულისა
და შრომის გმირის ვარსკვლავი მიტროფან
ძიძიგურისა.

სადაც რეჰანი ყვავილობს, დღეს გამარჯვებაც იქა
ქვეს,
თქვენ გაქებთ, ქოლობნელებო — კაპანაძევ და
მიქაძევ!
ეს თქვენით ფარავს მიდამოს ზურმუხტები და
ლალები
და უფრო ლამაზდებიან ჩვენი ლამაზი ქალები.
მარტო სუნამო რადა ღირს! იმისი შოვნაც ბეღია...
თქვენი წყალობით მამულში დღეს ქორწილებიც
მეტია.

მაგრამ ვერც იმას დავმაღავთ, რაც დარდად
გადაგვფენია,
კიდევ არიან ზოგ-ზოგნი, სხედან და ასე მღერიან:
— ნეტა ვის უნდა რეჰანი, ნეტა ვის უნდა ვარდები,
საქოს და სიკოს არ იყოს, მეც მირჩვენია მწვადები.
უსურნელოდაც ვიცოცხლებ, მოყვარული ვარ
ლხინისა,
ყოველგვარ ზეთის დალევას, დალევა მიჯობს
ღვინისა.

„გეშვია, გეშვია,
ახალი დო ჯვეშია,
გეყურნი დო გეშადუცი
ჭითა ოჯალეშია“.

ჩაის ფოთოლსაც ვახსენებთ, რომ სიომ მოგვიბორიოს,
მწვანე ოქროთი ავსილა ტყვირი, ონტოფო, ბორიო.
ჩაის ჭიქებით ვახსენებთ, მუდამ ვუსურვებთ ღვინასა,
სულიკო უჩანეიშვილს და თოფურია ღვინასა.

გერენავა და გვაზავა ორივე მარჯვე ქალია,
ჩაის კი კრეფენ, მაგრამა სასმელად აღარ სცალიათ.
თქვენ გენაცვალეთ, კარგებო, რომ არ ჩერდებით
ცოტაზე,
ლორინა ჭანტურიავ და შენ, ციალა ცოტაძევ!
თქვენ გაგიმარჯოთ მარადის, გველოთ დიდების
ზიარად,
ოქრო თქვენს მკერდზეც ბრწყინავდეს, მარტო
მინდვრებში კი არა...

მაგრამ ვერც იმას დავმაღავთ, რაც დარდად
გადაგვფენია,
კიდევ არიან ზოგ-ზოგნი, სხედან და ასე მღერიან:

— არ მზიბლავს პლანტაციები, როცა შრიალებს
ნიაზე,
ჩაი, მაგარი თუ არი, კარგია „პახმელიაზე“.
ხახხასა პლანტაციებში, ალბათ, არასდროს ვიქები.
ჩაი არ მინდა, ღვინო კი გადავკრათ ჩაის ჭიქებით.

„გეშვია, გეშვია,
ახალი დო ჯვეშია,
გეყურნი დო გეშადუცი
ჭითა ოჯალეშია“.

მშრომელო აბაშელებო, ზეცას ეხლებით ფრთებითა,
სულ თქვენი ქება ისმოდა ყრილობის დარბაზებიდან.
ოქროს ვარსკვლავით გაბრწყინდა გმირი მგელაძე
გურამი...

ყველა თუკი ვერ გახსენებთ, ნუ გენყინებთ ნურავის.
ცხოვრება კიდევ წინაა, არ ვესწრაფებით დრო-ყამსა,
მაშინ შეგაქებთ, მომდევნოს როცა მიიღებთ დროშასა.
დღეს ძალზე ცოტა გითხარით, მეტს დაგპირდებით
ხვალისთვის,

როდესაც მეტი გვექნება და უკეთესი ხარისხის.
სოფელს დაეტყოს მშვენება, ქალაქს დაეტყოს შენება
და საქართველოს შემატონ დიდება აბაშელებმა!

ვახტანგ გომოლაშვილი
1981 წ.



შეგობრული შარვი ბ. შირცხალაშანი

სანამ სხვა ჯილდოს მიიღებ,
მე გაჯილდოებ მადლობით —
შენ—ჩემს იმედს და სილალეს,
ავთანდილს ჩვენი მხატვრობის!

გამშვენებს სული, ოჯახი,
გული და გვარი ქართული —
მთელ მსოფლიოში დღეს ერთ-
ერთ უდიდეს კარიკატურისტს!

შენი ნიანგი

ს.ბ. ჯ. ლოლუასი



— ფრთხილად, შვილო, როგორც ვიცი, გაა ბავშ-
ვებს ნომრავნი..


საზეიმო



სადღებრივად

ახალ გამარჯვების შუქით გვმოსავს
ჩვენ ეს თებერვალი — საენძელო!
მეცხრე გარდამავალ წითელ დროშას
შვენის საზეიმო სადღებრივად:
იგი მუშაკაცი ვადღებრივად,
ვისაც ვაჟკაცურად გააქვს ლელო,
ვინაც არავის არ უბოროტებს
და ასე დარჩება სულ ბოლომდე!..
ვინაც სხვის დუღუკზე არა ხტუნავს
და მხნედ იმეორებს: „მანც ბრუნავს!“
ვინც თვალს არ აცილებს მამულს მზიანს,
შრომას არ გაურბის ნამუსიანს!
ვინც სიყვარულისთვის ზოგავს წუთებს
და მუზას ეღვარე ღამეს უთევს!
ვინაც კარგად იცის, რა აკლია —
თუშეთს, ჭერემსა თუ ანაკლიას!..
და ჯვრის მონასტრისა დანახვაზე, —
მინას შორდება და ადის ცაზე!
ვინც შექმნა გრემი და სამთავისი
და ქვეყნად არა შურს არავისი!
ვინაც ცნობს მშობლიურ ქარს და სიოს
და ეთაყვანება კავკასიონს!
ვისაც ნეკრესი და საფურცლია
არასდროს არაფერზე გაუცვლია!..
და სისხლით გაჟღენთილ მარაბდაში
იმ ცხრა მხედარს ხედავს ალამგაშლილს!
ვინც არ იმეორებს „დღეს“ და „ხვალეს“,
ვინც სიყვარულისთვის ახელს თვალებს!
ვინაც სულსა და გულს უძღვნის ხუთწლედს,
სივრცეს ეუფლება და დროს უსწრებს!
ვინც არ დაივიწყებს დანაპირებს
და სხვისი ტკივილიც აატირებს, —
არ იცის, რა არის დახანება, —
მამულს თუ სჭირდება დახმარება!
ვინც ქუხდა, ვითარცა ჰერკულესი,
აშენა ბამი და ენგურჰესი!..
ვისაც ხეკორძულას წყალი უსვამს
და მცხეთა ისე აუგია,
ვინც ჩანგს არ ჩამოჰკრა უნამუსოდ,
სიტყვით და საქმით ვინც ჩაუქია!
ვინც არ ემონება ფულს და დაფნას,
არც ვის უბატონებს, არც ეყმობა
და აღმაშენებლის წმინდა საფლავს, —
ფეხს კი არ დაადგამს, — დაემხოა!
ვისაც ბედოვლათის დანახვაზე
ცეცხლი აბედივით ეკიდება,
ვინაც სულს აწრთობს და ალამაზებს
და ტვირთდამძიმებულს ეხიდება!
იმ კაცს გაუმარჯოს, ვისაც რწმენა
შიშით არასოდეს შეუცვლია!
ვისაც ნდობაცა და სიყვარულიც
კარგად შეინახოს, შეუძლია!
იმ ალალ მუშაკაცს გაუმარჯოს,
სულში რომ სინათლე ჩაჰფენია
და ქვეყანას რომ მისცეს სარჩო,
ტრაქტორს და კომბაინს ჩაჰფრენია!
ვინაც მადლს არავის ამაღლიდა
და ქედს არ იხრიდა წყეულ ხვედრთან!
ვინც ჩვენი მამული განადიდა
და მარადისობას შეუერთდა!..
ვისაც სუყველაფერს ურჩევნია,
მამულს გადასძახოს უთენია:
„სული ვაზნასავით დამეცალოს,
მე თუ შენ ოდესმე გაგაცალო!“

ალგანორ თაყაი



დაბადების დღეზე სპილოს გამოუცხვეს დიდი ქადა! — სპილომ თავის წილი ქადა მთელს ზოობარკს უწილად!

ქადა იყო, ო, რა ქადა! — გაუღვიძა ყველას მადა! — ლომს ლომური ლუკმა ერგო, მეგლს — მეგლისა და ზოზობს — ხოხბის! მელამ ყვავი დაპატოა, ყვავმა — ქორი, ქორმა — ორბი!..

ქადა იყო, ო, რა ქადა! — სამხეცეში რიგი დადგა!.. კენგურუ რომ კარგად გაძლა, ამთივსო ქადით ჩანთა! — კიდევ კარგი, თორემ მარცხად, ალბათ, თათებს გადიქამდა!.. დათვის არ ჰქონდა თითქმის მადა, მაგრამ ქადას მაინც ნთქავდა!..

ბოლო ლუკმას, ერთობ ფრთხილად, დაუფლა თურმე ყანჩა! — სპილოს, როგორც იუბილარს, ქადის ფინჩხაც აღარ დარჩა!.. ზარ-ზეიმით დაიშალნენ, იყო ტაში, იყო ქება!.. ახლა სპილო თავის შემდგომ თუბილეს ელოდება!..

ზორის ფოცხივილი

— თუ კაცი ხარ, კიდევ ერთ უბრალო სამუშაოზე გაგაფორმებ!
— კი მაგრამ, ორ ადგილზე ხომ ხარ უკვე გაფორმებული?
— ორი რას მუშაობ, სამი ოჯახის პატრონი ვარ!..

ცხაპიანს ხალიჩების საქსოვი კომბინატის თანამშრომელმა ლენა ტყაბუჩავამ ხუთიოდე ხვია შალის ძაფი აწაპნა და ხელჩანთაში ჩაუძახა. გასასვლელში (ბუდი უნდა ყველაფერს) მცველ-კონტროლიორმა დოდო კოკაიამ ჩანთიდან თავამოყოფილი ძაფის წვერი შეამჩნია, მოქაჩა, თითზე დაიხვია და დაცვის უფროსის შოთა ბერძენი შვილის ხანერი მაგიდის ფეხს გამოაბა.

— რა არის ეს? — იკითხა დაცვის უფროსმა.
— ძაფი, რომელიც ლენა ტყაბუჩავას ჩანთიდან მოდის.
— თვითონ ტყაბუჩავა სად არის?
— ძაფს გავყვებით და მასთან მიგვიყვანს.

ლენა იჯდა კომბინატის სკვერში სკამზე და თვალთაგან ძაფით უწყვეტი ცრემლი მოსწიქებდა.
— რად მოიპარეთ ძაფი? — ჰკითხა მას დაცვის უფროსმა.
— არ მომიპარავს. მე მხოლოდ ჩანთაში ჩავდე, რათა სახლში წამეღო და მისგან რამე მომექსოვა.
— მაინც რა უნდა მოგექსოვათ?
— რა თქმა უნდა, არა მფრინავი ხალიჩა!.. რამე...

— იცით თუ არა თქვენ, რომ ეს „რამე“ ციხეა, ქალბატონო ელენე? დიახ, თქვენ უკვე მოქსოვეთ იგი... აქტი გააშანშალეს. მცველების შე-

აი, რა ქნა არაქნეს ძაფა

მდეგ ლენამაც მოაწერა ხელი აქტს, რომელსაც, როგორც ბეჭედი, მისი ერთი წვეტი ცრემლიც დაეცა. ლენა ისევ სკვერში მიიმალა და ტირილი განაგრძო.

— ნუ სტირი, — თავზე დაადგა მას ცვლის ოსტატი ციალა ჯანჯღავა, — მომისმინე. იმისათვის, რომ შენს დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრას და მხოლოდ ამხანაგური სასამართლოს მსჯელობის საგნად იქცეს, საჭიროა...

— აღარაფერი აღარ მიშველის, აქტი დაიწერა, დანომრილი აქტი! — ამოიოხრა ლენამ უიმედოდ.

— აქტის ხელყოფა სულაც არ არის აუცილებელი. საჭიროა აქტში ძაფის რაოდენობის შემცირება, ესე იგი ძაფის დამოკლება. ახლა მე შენ გეკითხები, ძაფი რომ გადაიჭრას, ამისათვის რა არის საჭირო?

— მაკრატელი.
— სრულიადაც არა!.. თუმცა ეს საქმე მე მომანდებ.
— განდობ!

ცვლის ოსტატი ციალა მცველ-კონტროლიორ დოდოსთან მივიდა და რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. ახლა დოდო მივიდა ცვლის უფროს შოთასთან და უჩურჩულა ყურში რაღაც. ეს ჩურჩულ-პუტუნის უკან დაბრუნ-

და და ლენა ტყაბუჩავასთან მივიდა. — რას იტყვი, მოგწონს ჩემი გაბმული „ძაფი“? — ჰკითხა ციალამ ლენას ხმამაღლა.

— ნამეტანი კარგი ძაფია!
— ახლა კი დავალბოთ ეს ძაფი, რათა მისგან „საქმე“ მოიქსოვოს. და ლენამ 300 მანეთი ჩაუთვალა ციალას. ციალამ მხოლოდ პატარა ნაჭერი — რაღაც 20 მანეთი ჩამოატეხა თანხას და დოდოს 280 მანეთი უბოძა. ამ უკანასკნელმა მთელი ყუა — 130 მანეთი მოატეხა თანხას და შოთას 150 მანეთი მიართვა. აქტში ძაფის რაოდენობა შემცირდა.

ძაფი დამოკლდა, დამოკლდა, მაგრამ... მოხდა საოცრება: ძაფმა, თითქოს ილუზიონისტის ხელში მოხვდაო, იწია, იცოცა და მილიციამდე მიაღწია. ამით არ დამთავრებულა მისი სვლა, იმდენი იძრომიალა, მილიციიდან პროკურატურაშიც შეჰყო თავი. ხოლო, რაკი პროკურატურიდან სასამართლო ორ ნაბიჯზეა, იქაც შეაღწია.


სასამართლოში კი ძაფი დატრიალდა, დაიკლაკნა და თავის ბურღში გაახვია ოთხეული. მან ხელ-ფეხი გაუკოჭა შოთა ბერძენიშვილს — 5, დოდო კოკაიას — 4, ციალა ჯანჯღავას — 3, ხოლო ლენა ტყაბუჩავას — 1 წლით.

ბაიოზ შავერზაშვილი, „ნიანგის“ კორესპონდენტი.

162 82

25.11

ნ.ბ. ი. შანიშვილისა



სინდისი

ზოგი იღებს დღენიდაგ ქრთამებს,
ზოგიც ქურდობს, მელაკუდას მსგავსად,
ზოგი ხელად ააფეთქებს მთა-ველს
ასი ცალი სიგარეტის ფასად!

ზოგი მისდევს მარგალიტის განძებს,
ორპირია და გილიმის სათნოდ,
ქვეყნისათვის ზოგი თითს არ ანძრევს,
მაინც ურცხვად პირველობას არ თმობს!

რა გამოლევს ქვეყნად ჭაობ-მორევს?!
გულზე სკდები, უნიჭო რომ გჯიბრობს!
ეჰ, ამ სინდისს რა ვუთხარი, თორემ,
კაცმა უნდა ყველაფერი სინჯო!

ვიგა მახვილაძე

ნ.ბ. დ. ზარაფიშვილისა.



— უფროსო, ამ ხელმოსაქიდი არაფარია, ყვა-
ლაფარი ნაუღიათ!..

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო:
„ნიანგის“ გ. წ. მე-14 ნომერში დაბეჭდილი წერილი
— „ბარათი ნიანგს“ — ეხებოდა გურჯაანის რაიონის
სოფელ ქოდალოს მოსახლეობის ტელეგადაცემებით
უზრუნველყოფას.

1973 წელს, ყვარელში მძლავრი სატელევიზიო სად-
გურის საექსპლოატაციოდ გადაცემის გამო დემონტი-
რებული იქნა მცირე სიმძლავრის ტელეტრანსლატო-
რები, მათ შორის სოფელ ზიარში დადგმული ტელე-
ტრანსლატორიც, რომლითაც სარგებლობდა სოფელი
ქოდალოც; სადაც შემდეგ მიკროტრანსლატორის და-
ყენება შეუძლებელი გახდა მეტრულ დიაპაზონში ეთე-
რის გადატვირთვის გამო.

რესპუბლიკური რადიო-სატელევიზიო გადაცემი ცე-
ნტრის სპეციალისტის მიერ აღგილზე ჩატარებული მო-
კვლევით დადასტურდა, რომ სოფელ ქოდალოს მოსახ-
ლეობის ტელეგადაცემებით უზრუნველყოფა ჩვეულ-
ბრივი ტელეანტენებით შეუძლებელია.

სოფელ ქოდალოს მოსახლეობის საყურადღებოდ
უნდა ითქვას, რომ მათ ტელეგადაცემების მიღება შე-
უძლიათ ტელეანტენებში შეტენილი მე-8 არხისთვის
გათვალისწინებული „ტალღური არხის“ ტიპის ანტენე-
ბის საშუალებით.

**ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს
აღმასრულებელი კომიტეტი:**

ქურნალ „ნიანგის“ გ. წ. მე-14 ნომერში გამოქვეყნე-
ბულ კრიტიკულ წერილში სათაურით — „წაღმა-უკულ-
მა, ანუ ბედოვლათების კვალდაკვალ“ — აღნიშნულ
იყო ქ. ჭიათურის მოსახლეობის წყალმომარაგების
საქმეში არსებული ნაკლოვანებები.

ჭიათურის მოსახლეობას მართლაც არ ყოფნის სასმე-
ლი წყალი. ქალაქი დღე-ღამეში, ნაცვლად სანიტარიული
ნორმით გათვალისწინებული 66.000 კუბმეტრისა, იღებს
49.000 კუბმეტრ წყალს, ერთ სულ მოსახლეზე — 200
ლიტრს, ნაცვლად 300 ლიტრისა.

საქართველოს კბ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის
ბიურომ და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილეს
ქ. ჭიათურისა და მისი ზონის სოფლების მოსახლეობისა
და საწარმო-დაწესებულებების წყლით მომარაგების
მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების საკითხი და
დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი საქმის გამოსასწო-
რებლად.

**წერილების
კვალდაკვალ**

სოფელ პატარა ლილოს არა აქვს კეთილმოწყობილი გზა, შესაკეთებელია მაღაზია, წერდნენ რედაქციას გარდაბნის რაიონიდან.

გარდაბნის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომიდან რედაქციას მოსწერეს, რომ გარდაბნის საგზაო-საწარმოო უბანი შეუდგა ვარკეთილი-პატარა ლილოს გზის შეკეთებას, ზევი აღდგენილია და მიმოსვლისათვის ვარგისი. რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით სოფლის მაღაზიის კაპიტალური შეკეთება დაევალა ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობას.

ჩერნიშევსკის ქუჩა შესაკეთებელია, წერდნენ რედაქციას ქუთაისიდან.

ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან გვაცნობეს, რომ ჩერნიშევსკის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულება დაევალა საავტომობილო ქარხნის სამეურნეო ხელმძღვანელობას.



02-162



**საბირისა და იუმორის
შუბრული „სიანგი“**
№ 4 (1614) თებერვალი
ბათუმის 1923 წ. ივნისიდან.

**მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლგოძია**

**საკრედიტო
კოლეგია:**
ზაურ ამირაჯიანი,
ნოზაძე ბარბაქაძე,
გორის გურგულია,
ნოზაძე დავითაძე,
რევაზ თვაბაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოზაძე ვალახონია
(მხატვარი-რედაქტორი),
ალექსანდრე სამსონია,
გაბრიელ სინარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
გიგლა ფირცხალავა,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
თავაზ ფიჭინაძე,
ვაჟა ზანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),
ნაზი ჯუსოიტი.

**ტექნიკური რედაქტორი
მინილ კახალაშვილი**

გადამცემი სასაწყობად
25. 1. 82 წ.
ხელმოწერილია დასაბამად
16. 3. 82 წ.
ტალღდის ზომა 70x100
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი. 1

საპრინციპო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კვ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. №14,
შეკვეთა № 197 უფ. 06141

ტირაჟი 148.950.
ქურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩ ვ ნ ი მ ი ს ა მ ბ რ თ ი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტ მ ლ ი ფ მ ნ მ ბ ი: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგებების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკე-
ბის — 99-02-38, მდივანი-მემან-
ქანის — 99-76-69.

**Сатирико-юмористический
журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)**
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფასი 20 კაპიტი
ბეჭდვის 76137

**მხოლოდ
ერთი ფარი—
ყვითელი!..**

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის მშვიდობასა და სტაბილურობას ემუქრება პეკინური კურსი, რომელსაც ატარებენ ჩინელი ლიდერები, ამ კურსის მანვილი მიმართულია ვიეტნამის, ლაოსისა და კამპუჩიის წინააღმდეგ, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ. პეკინის ხელმძღვანელობა ცდილობს, ყოველი ღონით ხელი შეუშალოს ახალი ცხოვრების აღმშენებლობას ამ ქვეყნებში.

ამასთან ერთად პეკინი ურცხვად ერევა იმ ქვეყნების საზინაო საქმეებში, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ასოციაციაში შედიან (ინდონეზია, ფილიპინები, მალაიზია, სინგაპური და ტაილანდი). იგი ყოველმხრივ მხარს უჭერს ანტისამთავრობო მარისტური დაჯგუფებების, აგრეთვე ეთნიკური ჩინელების (ხუაციანო) მოქმედებას, რომლებიც ამ რეგიონის

ქვეყნებში ცხოვრობენ და ფაქტურად პეკინის „მეზუ-თე კოლონას“ წარმოადგენენ.

თურმე ნუ იტყვიო და, ჩინეთის ყველაზე სამხრეთი წერტილი ყოფილა კუნძული ცენგმუ, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან დაშორებულია ათასი კილომეტრით. ყოველ შემთხვევაში, ამას ირწმუნება პეკინში გამოცემული გეოგრაფიული რუკები, რომლებზეც ერთი ფერით არის გადაღებული როგორც თვით ჩინეთი, ისე ის რაიონები, რომლებიც მას არ ეკუთვნის და რომელთა ხაერთო ფართობი აღემატება მთელი თანამედროვე ჩინეთის ტერიტორიას. თურმე ნუ იტყვიო და, შაო ძე-დუნის მემკვიდრეებს ჩინეთის შიგა ზღვებად მიაჩნიათ ყვითელი, აღმოსავლეთ-ჩინეთისა და სამხრეთ-ჩინეთის ზღვები, პრეტენზიას აცხადებენ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სახელმწიფოთა კუთვნილ ორასზე მეტ კუნძულზე.

სალი აზრი გვიქარნახებს, რომ ეს კარტოგრაფიული აგრესია ერთხელაც იქნება და ადვილი შესაძლებელია, შეიარაღებულ აგრესიაში გადაიზარდოს. ამის მაგალითი კი არა ერთი და ორი მომხდარა.

ამიტომაც არის, რომ პეკინის მსგავსი პოლიტიკა შემოფოთებასა და აღშფოთებას იწვევს სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში.

„ზა რუბეჟიმ“-ის მასალების მიხედვით.